სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/16

27 02 2018 წ.

ქ. თბილისი

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობისკანდიდატების/სტუდენტების მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წერილობითი თანხმობის მისაღებად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების (შემდგომში „განმცხადებელი") მიერ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-9 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობის მისაღებად წარმოსადგენი განცხადების ფორმა (დანართი 1).

2. განცხადებელმა, იმ შემთხვევაში, თუ იგი თანახმაა, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა წარუდგინოს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს/სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განსახილველად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ განცხადებას თან უნდა დაურთოს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი. ამასთან, განმცხადებელმა წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა დაურთოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ:

ა) უცხო ენაზე შექმნილი დოკუმენტის ქართულ ენაზე თარგმნისა და ნოტარიული წესით დამოწმებისათვის;

ბ) სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომსახურების საფასური;

გ) სტუ-ს მომსახურების საფასური.

სულ 100 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. აღნიშნული თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს სტუ-ს სპეციალურად ამ მიზნისთვის გახსნილ შემდეგ ანგარიშზე:

Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
ACC: 021087992 GEORG
Beneficiary's bank:
NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: LEPT GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY (val code: 799780082)
IBAN: GE65NB0331100001150207

4. დაევალოს სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურს (ოთარ ზუმბურიძე), უზრუნველყოს განმცხადებლის მიერ თანხმობის მისაღებად წარმოსადგენი განცხადების ონლაინ რეგისტრაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი**

სტუ-ს რექტორის 2018 წლის
"27 02.18 №01-09-10/15 ბრძანების

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორს

_____ მოქალაქის
(მიუთითეთ ქვეყანა)

მოქალაქეობის არმქონე პირის
(გახაზეთ მოქალაქეობის არქონის შემთხვევაში)

იურიდიული მისამართი: _____
ფაქტობრივი მისამართი: _____

ტელ.: _____
მობ.: _____
ელ–ფოსტა (E-mail): _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მომცეთ თანხმობა, ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების
(გახაზეთ სასურველი)
გავლის გარეშე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

_____
(მიუთითეთ ფაკულტეტი და საგანმანათლებლო პროგრამა)
არსებულ ვაკანტურ ადგილზე ჩემი მიღების შესაძლებლობის თაობაზე.

თანახმა ვარ/არ ვარ თანახმა (გახაზეთ სასურველი), ჩემს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში/სსიპ -ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განსახილველად წარდგენა და ამ მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა.

დანართი: ფურცელი

განმცხადებლის ხელმოწერა: _____
თარიღი: _____